(სსმ III, 06.02 2009 წ., N 14, მუხ. 172)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
რეგისტრაციის ნომერი
240.140.000.50.054.012.752

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის ბრძანება N 16 2009 წლის 3 თებერვალი ქ. თბილისი

საერთო–სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვითი ორგანოს განსაზღვრისა და ანგარიშვალდებული საწარმოს 1%–ზე ნაკლები წილის მფლობელის აქციონერთა საერთო კრებაზე მოწვევის წესის დამტკიცების თაობაზე

,,საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოდ, სადაც ქვეყნდება სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების (შემდგომში – საერთო კრება) მოწვევის შესახებ შეტყობინება, განისაზღვროს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე".

2. ანგარიშვალდებული საწარმოს 1%–ზე ნაკლები წილის მფლობელი აქციონერი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას გაეცნობა ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ბეჭდვით ორგანოში.

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მოსაწვევთა დაგზავნის პროცედურების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2002 წლის 15 აპრილის N14 დადგენილება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქადაგიძე